# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

**№ 18** **1883—1893** 30 სექტემბერს

გაზეთის ფასი:

| «მწყემსი» | | «მწყემსი» რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 5 მან. | 12 თვით . . . | 6 მან. |
| 6 — . . . | 3 — | 6 — . . . | 4 — |

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Квирилы, въ редакцію „Мцкемси" и „Пастырь".*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიცა იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## რა მდგომარეობაშია სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო სასწავლებლებში?

(გაგრძელება *)

წინა წერილში ჩვენ მოვიყვანეთ ოფიციალური და სარწმუნო ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მიდის სწავლის საქმე თბილისის მართლ-მადიდებელ სასულიერო სემინარიაში, რომელიც ერთად ერთი საშუალო სასულიერო სასწავლებელია მთელს საქართველოს საექსარხოსოში. ამ ოფიციალური ცნობებიდამ სჩანს, რომ ამ სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში სწავლის საქმე ჩვენს სემინარიაში თან-და-თან უკან იწევს. სახელდობ $189^{0}/_{1}$ წელში წარმატებით მოსწავლე მოწაფეთა რიცხვს შეადგენდა 66,5%, ხოლო უარგის მოწაფეთა რიცხვს 33,5% შემდეგ წელში წარმატებით მოსწავლე მოწაფეთა რიცხვი იყო 56,4%, ხოლო უარგის მოსწავლეთა რიცხვი 43,6%; წელს კი წარმატებით მოსწავლეთა რიცხვი შეადგენს 44,6%, ხოლო უარგის მოწაფეთა რიცხვს — 55,4%. სამწუხაროდ დღეს ჩვენ ხელთ არა გვაქვს ნამდვილი ოფიციალური ცნობები, თუ როგორ მიდიოდა წინა წლებში სწავლის საქმე ჩვენს

*) იხ. «მწყემსი»-ს მე-17 №, 1893 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებლებში, რომელნიც ექვემდებარებიან თბილისის სასულიერო სემინარიას, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ამ სასწავლებლებშიაც წარმატებით მოსწავლე მოწაფეთა რიცხვი თან-და-თან კლებულობს. რას უნდა მივაწეროთ ამისთანა სამწუხარო მოვლენა? ჩვენი მასწავლებლები ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზს სხვა-და-სხვა დროს სულ სხვა-და-სხვა ნაირად ხსნიდენ.

ერთ დროს სწავლის საქმის ცუდად მსვლელობის მიზეზად ასახელე დნენ მასწავლებლების მოუმზადებლობას და მათი ნივთიერი მდგომარეობის შესაფერად განუკარგებლობას. უმთავრესად ბრალს სდებდენ მასწავლებლებს, რომელთაც მარტო სემინარიაში ჰქონდათ სწავლა დამთავრებული და ფიქრობდენ, მასწავლებლობა მარტო აკადემიაში სწავლა-დამთავრებულ პირთ შეეძლოთ. დღეს ჩვენს სემინარიაში ყველა მასწავლებლები უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი არიან. ხოლო ჩვენს ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში სემინარიელები მარტო მოსამზადებელ და პარალელურ განყოფილებებში თუ არიან დღეს მასწავლებლად, თორემ სხვა კლასებში აკადემიელებია. ჯამაგირებიც აკადემიელებს ისეთივე ეძლევათ, როგორც გემნაზიის მასწავლებლებს და ჯამაგირს გარდა ხანდის-ხან საჩუქრებსაც იღებენ იმ ფულებიდამ, რომელიც შემოდის სასწავლებელში ერის კაცების შეილების სასწავლებელ ფასად. მაშა სადამე ზემოთ დასახელებული მიზეზი დღეს სრულიად უსაფუძვლოა და მოკლებულია სიმართლეს.

როცა ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში მარტო სემინარიელები ასწავლიდენ, ბევრსა სწერდენ იმ პირთ წინააღმდეგ, რომელნიც ამტკიცებდენ, რომ აკადემიის «დიპლომი» სრულებით არ არის იმისი უტყუარი საბუთი, რომ მარტო მის მექონეს შეეძლოს კარგი მასწავლებლობა და სემინარიელს კი არა. ეს პირნი ამტკიცებდენ, რომ მასწავლებლების დაფასების დროს სახეში უნდა ვიქონიოთ მოწოდება და სიყვარული მასწავლებლისა თავისი საქმისადმი და არა მარტო ერთი აკადემიური «დიპლომი»-ო. მაგრამ ბევრს არ სწამდა და არც დღეს სწამს ეს ჭეშმარიტება, რადგან ეს ჭეშმარიტება, ზოგიერთების აზრით, ამკირებს აკადემიაში სწავლა-დამთავრებულ პირთ სემინარიელების წინაშე. ზოგიერთს ვერას გზით ვერ დაარწმუნებ, რომ კარგად მომზადებულ სემინარიელს ისეთივე წარმატებით შეუძლია ასწავლოს ოთხ-კლასიან სასწავლებლებში ყველა საგნები, როგორც აკადემიელს. როგორ დაარწმუნებთ ზოგიერთ აკადემიელს, რომ კატეხიზმოს, საღმრთო ისტორიის და არითმეტიკის სწავლების საქმისათვის აკადემია ისეთ რამეს არ იძლევა, რომელიც არ იცოდეს სემინარიელმაც. ერთი და იგივე საქმისა და შრომისათვის ერთს ეძლევა მომეტებული ჯამაგირი და მეორეს ნაკლები. თუ ადგილს და შრომას ენიშნება ჯამაგირი, მაშინ როგორც აკადემიელს, ისე სემინარიელს ერთი და იგივე ჯამაგირი უნდა ეძლევოდესთ და რომ სემინარიელები აკადემიელებზე ნაკლებად არ მუშაობენ ჩვენს სასწავლებლებში, ამას ცხადათ ამტკიცებს უწმ. სინოდიდგან და ჩვენი სემინარიიდამ დანიშნული რევიზორების ანგარიშები (отчеты).

აკადემიაში სწავლა დამთავრებული პირნი ისე გამრავლდენ, რომ დღეს ბევრი მათგანი უადგილოდ დადის, რადგან სემინარიებში და ოთხ-კლასიან სასწავლებლებში ადგილი აღარ არის თავისუფალი, რომ მათ მისცონ. ამიტომ ამას წინეთ უწმიდესმა სინოდმა გამოუცხადა აკადემიელებს, რომ მათ დროებით დაეტირათ მასწავლებლის ადგილები საეკლესიო-სამრევლო სკოლებში და ეს სამსახური ჩაერიცხებოდათ მათ სამსახურში. აქ უნებლიეთ გვაგონდებიან საწყალი სემინარიელები, რომელნიც კი ხანი მსახურებდნენ და დღესაც მსახურებენ ოთხ-კლასიანი სასწავლებლების მოსამზადებელ კლასებში; ამ მასწავლებლებსაც ისე უკლებდნენ ჯამაგირიდამ პენსიისათვის 2%, როგორც სხვა მასწავლებლებს და მხოლოდ ამ ბოლო დროს შეიტყვეს მათ, რომ მოსამზადებელი კლასების მასწავლებლებს პენსია არ მიეცემათო, მხოლოდ მათგან დატოვებული 2% გამოუანგარიშეს და დიდი ხნის მათი მუყაითი და სასარგებლო სამსახურის ჯილდოდ უკანვე დაუბრუნეს.

ნუ თუ ოთხ-კლასიანი სასწავლებლების მოსამზადებელ კლასებში სამსახური ნაკლებია საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სამსახურზე? ამ საგნის შესახებ ჩვენ სხვა დროს მოველაპარაკებით მკითხველებს და დღეს კი ისევ ჩვენ უმთავრეს საგანს დაუბრუნდებით:

რადგან აკადემიაში კურს დამთავრებულნი ისეც ბევრნი იყენენ, სემინარიელებს ვინღა მისცემდა მასწავლებლობის ადგილს ოთხ-კლასიან სასწავლებლებში. თითქმის ყველა ადგილები აკადემიელებმა დაიკავეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებლებში. სამღვდელოებას მოემატა ხარჯი სასულიერო სასწავლებლის შესანახავად, მაგრამ სამღვდელოება დაიმედებული იყო, რომ ნაცვლად სწავლის საქმე კარგად წავიდოდა. მაგრამ სტატისტიკური ცნობები სულ სხვას გვიმტკიცებს.

ერთ დროს სემინარიის მასწავლებლები უკანვე აბრუნებდნენ ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულ ყმაწვილებს და სემინარიაში არ იღებდნენ, რადგან მათის აზრით ყმაწვილები ხეირიანად ვერ იყვნენ მომზადებული ოთხ-კლასიან სასწავლებლებში სემინარიაში სწავლა-დამთავრებულ მასწავლებლებისაგან. ამის გამოც საჭიროდ დაინახეს, რომ ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში მასწავლებლად უსათუოდ აკადემიელები დანიშნულიყვნენ. დღეს მართლაც უმეტესად აკადემიელები არიან დანიშნულნი მასწავლებლად ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში. ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენს სემინარიაში უფრო ბევრ ყმაწვილებს მიიღებდნენ ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლიდამ. ამ ბოლო წლებში სემინარიის პირველ კლასში შემსვლელ პირთათვის ეგზამენებიც მოსპეს და ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლების სამმართველოებს მიანიჭეს უფლება აღერჩიათ სწავლა-დამთავრებულ მოწაფეთა შორის საუკეთესო მოწაფეები და გაეგზავნათ სემინარიაში, სადაც ასეთ მოწაფეებს გამოუცდელად იღებენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ოთხ-კლასიანი სასწავლებლების სამმართველოები ძლიერ ცოტა ყმაწვილებს აგზავნიან სემინარიაში. ექვსი სასულიერო სასწავლებლის მეოთხე კლასებში 215 მოწაფე ყოფილა წელს. სახელდობ: თბილისისაში 30, ქუთაისისაში—75, გორისაში—23, თელავისაში—20, ახალ-სენაკში—37 და ოზურგეთისაში—20. ამ 215 მოწაფეში ჯეროვანად მომზადებული და ღირსი სემინარიის პირველ კლასში გასაგზავნად ამორჩენილა 94, ანუ 44,3%, ხოლო 121 მოწაფე ე. ი. 55,7% უცვნიათ უღირსად და უარგისად სემინარიაშიდ გასაგზავნათ.

არ შეიძლება სთქვას კაცმა, რომ სასწავლებელში კარგად მიდიოდეს სწავლა-აღზრდის საქმე, როცა უარგის მოსწავლეთა რიცხვი აღემატება წარმატებით მოსწავლეთა რიცხვს. პირველად გასაოცარი ის არის, რომ მეოთხე კლასებში ყველგან მოსწავლეთა რიცხვი ნაკლებია სხვა კლასებთან შედარებით. წელს ყველა ჩვენს ოთხ-კლასიან სასწავლებლებში სწავლა შეუსრულებია 215 მოწაფეს და მათგან მარტო 94 მოწაფე უცვნიათ ღირსეულად სემინარიის პირველ კლასში გასაგზავნად. მაშასადამე ჩვენ უფლება გვაქვს, ვიფიქროთ, რომ სემინარიაშიდ გასაგზავნად ამოურჩევიათ მხოლოდ ღირსეულნი და ნიჭიერნი მოწაფეები *). ასეთი დიდის გამჭრიახობით აგზავნიდენ მოწაფეებს სემინარიის პირველ კლასში წინა წლებშიაც. იმედი გვქონდა, რომ ოთხ-კლასიანი სასწავლებლის სამმართველოებისაგან ასე წინდახედვით ამორჩეულნი მოწაფეები წარმატებით ისწავლიდნენ სემინარიაში. არა ვის არა აქვს უფლება სთქვას, რომ ოთხ-კლასიან სასწავლებლებიდამ გაგზავნილი მოწაფეები მოუმზადებელნი იყვნენ და არ შეეძლოთ სწავლა სემინარიაში. მაგრამ საქმით კი სულ სხვა სამწუხარო ფაქტებს ვხედავთ. ოთხ-კლასიან სასწავლებლებიდამ გაგზავნილი საუკეთესო მოწაფეები მაინც კიდევ ძლიერ ცუდად სწავლობენ სემინარიაში და ცუდად მოსწავლე მოწაფეთა რიცხვი ყოველ წლობით მატულობს.

ავილოთ სემინარიის პირველ კლასში მოსწავლეთა სიები და გადავსინჯოთ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| $189^0/_1$ წ. | კარგად სწავ. | 64,9%; | ცუდად სწავ. | 35,1%. |
| $189^1/_2$ | — — | 52,2%; | — — | 47,8%. |
| $189^2/_3$ | — — | 36,4%; | — — | 63,6%. |

დაუთხოვნიათ სემინარიიდამ 91 წელში—5,1%; 92 წ.—8,3%, ხოლო 1893 წ.—27,8%. სწორეთ საკვირველია, რომ უმეტესი ნაწილი მოწაფეებისა ცუდად სწავლობს და ეს რიცხვი, სამწუხაროდ. ყოველ წლობით მატულობს!...

რა არის ამ სამწუხარო მოვლენის ნამდვილი მიზეზი? ზოგიერთები ამ ნორმალური მოვლენის მიზეზად შემდეგს ასახელებენ: საქართველოს საექსარხოსო ძლიერ მოშორებულია რუსეთს, ეს მხარე დასახლებულია სხვა-და-სხვა თემით, რომელნიც სხვა-და-სხვა ენაზე ლაპარაკობენ, აქაური მკვიდრი ძნელად ითვისებს რუსულ ენას, სამღვდელოების შვილები ხეირიანად არ არიან მომზადებულნი და გონებითაც ნაკლებნი არიან და სხვა... სწორეთ

---

*) სემინარიის პირველ კლასში გაგზავნილ მოწაფეთა შორის 61 მოწაფეს გაუთავებია სწავლა პირველი რიგით (разрядъ), ხოლო 33 მეორე რიგით. ეს ცნობები ამ $189^2/_3$ სამოსწავლო წლისა არის. მაგრამ არც წინა წლებში ყოფილა სემინარიის პირველ კლასში გაგზავნილი ამაზე მომეტებული მოწაფე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაებში ხედვენ ზოგიერთი მასწავლებლები მის მიზეზს, რომ ჩვენს სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის საქმე ესე ცუდათ მიდის და ამათ იმარჯლებენ თავსაც. მაგრამ რამდენათაც ეს საბუთები საფუძვლიანია, ამაზე შემდეგ მოველაპარაკებით მკითხველს.

დიკ. დ. ღამბაშიძე

(შემდეგი იქნება).

## სოხუმის ახალი ეპისკოპოსი პეტრე.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ სოხუმის ახალ ეპისკოპოსად დანიშნა კიევის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი პეტრე. მოგაყვეს ზოგიერთი ბიოგრაფიული ცნობები ყოველად სამღვდელოს პეტრეს შესახებ: ყოველად სამღვდელო პეტრე შობიდამ არის 35 წლისა. მაშასადამე მათი მეუფება რუსეთის ეკკლესიის ყველა მღვდელ-მთავრებზე ახალგაზდაა. იგი დაბადებული და აღზდილა მოსკოვში, იგი არის შვილი კოლლეგსკი სეკრეტრისა და ერის კაცობაში ეძახოდენ ალექსი ნიკოლოზის ძეს დუგოვს. მას პირველად სწავლა დაუმთავრებია მოსკოვის მეორე კლასიკურ გიმნაზიაში 1877 წელში და იმავე წელში შესულა მოსკოვის უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზედ; აქ სწავლა დაუმთავრებია 1881 წელში კანდიდატის ხარისხით და როგორც უნივერსიტეტის ერთი საუკეთესო მოწაფეთაგანი, იგი დაუტოვებიათ უნივერსიტეტშივე, რომ მომზადებულიყო პროფესორის თანამდებობისათვის. 1883 წ. კანდიდატს დუგოვს მშვენიერად დაუჭერია ეგზამენი და მიუღია მაღისტრობის ხარისხი.

1884 წელს ალექსი ნ. დუგოვი აღკვეცილა ბერად და სახელად უწოდებიათ პეტრე; შემდეგ მალე უკურთხებიათ მთავარ-დიაკვნად და ბერ-მონაზონად და მიუშვიათ ლექციების მოსასმენად მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, მეოთხე კურსის სტუდენტებთან ერთად ისტორიულ განყოფილებაში.

სიტყვიერი გამოცდის და დაწესებული თხზულების დაწერის შემდეგ ბერ-მონაზონ პეტრესთვის აკადემიის რჩევას მიუცია ღვთის-მეტყველების ხარისხი და ერთი წლით დუტოვებიათ აკადემიაშივე პროფესორის თანამდებობაზე მოსამზადებლად.

1885 წელში ბერ-მონაზონი პეტრე დაუნიშნავთ ვიფანის სემინარიის ინსპექტორად, ხოლო 1889 წელში ვლადიმირის სემინარიის რექტორად და აუყვანიათ არქიმანდრიტის ხარისხზედ. 1890 წელში გადასულა მოსკოვის სასულიერო აკადემიის ინსპექტორის და პროფესორის თანამდებობაზედ, აქედგან 1892 წელში იგი დაუნიშნავსთ კიევის სასულიერო სემინარიის რექტორად.

კიევის სასულიერო სემინარიის რექტორად მყოფობის დროს ყოველად სამღვდელო პეტრე ყოფილა ადგილობით სასულიერო ჟურნალის «Руководство для сельскихъ пастырей»-ის რედაქტორად. ამ ჟურნალში იბეჭდებოდა მათი მეუფების სტატიები და მოძღვრებანი. აგრეთვე ცალკეც დაბეჭდილი ზოგიერთი მისი ნაწერები.

## „მწყემსი"-ს კორესპონდენცია

### სოფელ ობჩიდგან.

სვირის რკინის გზის სადგურიდგან სამხრეთით სძევს სოფელი ობჩა. მდებარეობა ჰაერი ამ სოფლისა ძლიერ კარგია. დღემდის ამ სოფელში ბლომად მოდიოდა ღვინო, მაგრამ დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, თითქმის ყველა მემამულეების ვენახებში (ფილოქსერის დასის გამოკვლევით) ფილოქსერა აღმოჩენდა. დიდ დარდში არიან აქაურნი მცხოვრებნი ამ სენისაგან, რადგან ღვინოა ამათი ერთად ერთი სიმდიდრე. წელს მეტის მეტი გვალვისაგან ამ სოფელსაც, როგორც საზოგადოთ ზემო იმერეთს, შიმშილი მოელის. სიმდიდ თითქმის ეხლავე ჩალად აკრეს, რადგან ტაროს აღარ იკეთებს. პურს აქ იშვიათად სთესენ. მცხოვრებნი ამ სოფლისა დიდ შიშში იყვენ და არიან, რომ ამ დიდ გვალვას შარშანდულად დაუპატიჟებელი სტუმარიც—ხოლერაც არ მოყვესო. ყველა მახლობელ სოფლებში მოხელეები და ნამეტურ მღვდლები ზომავს ღვიძულობენ შესახებ ხალხის სუფთად ცხოვრებისა და სმა-ჭამისა. მაგრამ ობჩა-კი ამგვარ მოხელეებს და ნამეტურ მღვდლებსაც, კეი ხანია, მოკლებულია. მკათათვის უკანასკნელს რიცხვებში ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, ერთი გლეხის მეუღლა გარდაიცვალა, რომელიც წყალმაკით იყო ავათ; ჩვეულებისამებრ მიცვალებული სამი დღე სახლში ესვენა, და რადგან მეოთხე დღე ოთხშაბათი იყო, მიცვალებული ძღვლის რჩევით და თანხმობით ერთი დღე და ღამე ეკკლესიაში დასვენეს; მიცვალებული სიცოცხლეშიდეე ცუდი სენისა და მოუელელობისა გამო ჰყარდა და შემდეგ ოთხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღისა სრულიად დაიშალა და წყლათ იქცა. იატაკი ეკკლესიისა ცემენტათ ითვლება, მაგრამ უმეტესი ნაწილი ალიზის არის. წყლათ წასრული მყრალი სუნი მიცვალებულისა იმოდენათ გაუჯდა ეკკლესიის იატაკს, რომ დღესაც სჭირს შიდ გაჩერება. როდესაც მიცვალებული ეკკლესიაში ესვენა, ისეთი საოცარი სუნი იდგა მთლათ ეკკლესიის გალავანში, რომ მახლობლათ მაძოვარი ღორები გალავანშიდ მოგროვდნენ (ეკკლესიას გალავანი არა აქვს) და თვალით რომ ვერას ხედავდნენ, ეკკლესიაში მიცვიოდნენ, რომ კლიტე-ბოლქომს არ შეეჩერებია. დღესაც მიცვალებულის სამარე ღობით არის შერაგული, რადგან ღორები საფლავის ამოთხრას აპირებდენ. მიზეზი ამგვარის მოქმედებისა ის იყო, რომ ქრისუფლების აზრით ოთხშაფათი დღე ნაკიანია და ამ დღეს მიცვალებულის დასაფლავება არ შეიძლებაო და მღვდელმაც ამ აზრს ბანი დასცა. ეს საზიზღარი სუნი იმოდენათ გაძლიერდა ტაძარში, რომ მთელი მარიამობის მარხვა მაზიარებელმა ხალხმა უმეტესი ნაწილი ეკკლესიის გალავანში გაატარა და არა ეკკლესიაში. 6 მარიამობისთვეს ერთს მაზიარებელს პატივცემულსა ადამიანს გულის რევა აუტყდა. ნუ თუ ეს საზიზღარი გარემოება არ შეეძლო აეცილებია მღვდელს მრევლისთვის? ნუ თუ შესაძლებელია ესეთი ცრუმორწმუნეობა მღვდლისაგან, როგორიც ოთხშაბათის ნაკიანობაა? ესეც რომ ასე იყოს, ხოლერის შიში მაინც უნდა ჰქონოდა, რომელსაც ყოველ მხარეზე ერიდებიან და დიდის სისუფთავით ეგებებიან.

შეგვიძლია თამამათა ვსთქვათ, რომ მრევლი ხსენებული ეკკლესიისა იმოდენათ ღარიბი არ არის, რომ ეკკლესია ვერ შელობონ, ხის სალობავის მაგიერ, ქვითკირის გალავანიც შეუძლიათ ააგონ, მაგრამ მრევლს მწყემსი არა ჰყავს. აქედან დაინახავს მკითხველი, რომ მღვდელი კ—ძე არ ასრულებს თავის მოვალეობას პირნათლად. მღვდელს, რომელსაც მეტი დამოკიდებულება და კავშირი აქვს ერთან, თუ პირნათლად უძღვის თავის მოვალეობას, შეუძლია დიდი სიყვარული და თანაგრძნობა დაიმსახუროს და საყურადღებო ზედმოქმედება იქონიოს ერზე, მაგრამ ამას სამწუხაროდ ყურადღებას არ აქცევს ჩვენი მღვდელი. დიდი ხანია, რაც მღვდელი კ—ძე იმყოფება სოფ. ობჩაში და კაცს არ გაუგონია, რომ მას საუბარი გაემართოს მრევლთან რაიმე საქველ-მოქმედო საქმეზე. მას არასოდეს არ მოჰფიქრებია მრევლთან მოლაპარაკება უკანასკნელ ეკკლესიის შელობის შესახებაც.

ჩვენის აზრით კარგი იქნება ყურადღებას მიაქცევდენ, ვისიც ჯერ არს, და შემდეგისათვის მაინც აღუკრძალავდენ მღვდელს კ—ძეს სიცხეებში მიცვალებულის ეკკლესიაში დიდი ხნით დასვენებას.

ილ. სვ. ჩ—ძე.

# მღვდელი გიორგი დუმბაძე.

„მწყემსი“-ს რედაქციამ დამავალა, რომ შემეკრიბა ცნობები განსვენებულ მ. გიორგი დუმბაძის ვინაობასა და ავ-კარგიანობაზე. მ. გიორგის შესახებ მეც ბევრი რამ ვიცოდი და გამეგონა, მაგრამ რაც არ ვიცოდი, იმის შეტყობაც მოვიწადინე, მსურდა უნაკლულოდ აღმეწერა იმისი ხასიათი, ზნე-ჩვეულება, ნაკლი და ღირსება. სხვათა შორის მიუცილებელ საჭიროდ ვთვლიდი აღმენიშნა დრო იმისი მღვდლად კურთხევისა, ვისგან იყო ნაკურთხი და რომელს წელს გარდაიცვალა. ყველა ეს ცნობები ვსთხოვე წერილით გურიაში ერთს პატივცემულს მოძღვარს, რომელმაც, როგორც, ვიცი მ. გიორგი დუმბაძის გარემოება კარგათ უნდა იცოდეს. სამწუხაროდ, ლოდინი და ცდა ცდათ შემრჩა და წერილის პასუხს ვერც ავსა და ვერც კარგს ვერ ველირსე. ამ დაგვიანების მიზეზით რედაქციამ რაც ცნობა ჰქონდა მ. გიორგიზე და აგრეთვე იმისი სურათიც უკვე დაბეჭდა. მაგრამ, ვგონებ, უმნიშვნელო არ იქნეს, რომ მე, როგორც მ. გიორგის მნახველმა, რაც თვითონ ვიცი და სარწმუნო პირთაგან გამიგონია მ. გიორგიზე გაუზიარო «მწყემსი»-ს პატივცემულს მკითხველებს. გურიის მაზრაში, შემოქმედის მონასტრის გალავანში, თითქოს მონასტერზედვე მიშენებულია სოფლის შემოქმედის სამრევლო ეკკლესია, რომელსაც ღვთაების ეკკლესიას ეძახიან. აი ამ ეკკლესიის მრევლის მღვდლად ითვლებოდა ყველასაგან პატივცემული განსვენებული მ. გიორგი დუმბაძე. მთელი გურიის საზოგადოება დიდს პატივს სცემდა განსვენებულს მოძღვარს. ის იყო მტკიცე და შეურყეველი ხასიათის; იყო ზედ მიწევნით მცოდნე საღვთო წერილისა და გალობისა და, ეს მისი სპეციალური საგანი, ბუნებითს ენაზე განვითარებული გონება ყველასთვის ფას დაუდებელი იყო. იმისი სახლის კარები სწავლის მსურველთათვის მუდამ ღია იყო, ვინც და რომელი წოდებისაც უნდა ყოფილიყო იგი. ნამეტურ ვისაც ნიჭს შეამჩნევდა სწავლისას, ის იყო იმისი მხიარულების საგანი; მისი ღარიბის პურის ჭამა ყველა ამგვარ პირთა საზიარო იყო! შენ-ჩემობა სძულდა. არ უყვარდა აგრეთვე მჭევრმეტყველება, იგი თავის მრევლს, ორი-სამი სიტყვით დააჯერებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც საჭირო იყო. რასაც იტყოდა, ისე რეხიანათ და გარკვევით იტყოდა, რომ შეუძლებელი იყო იმავე წამში კაცს ხსოვნის კოლოფში არ ჩაეკეტა. დიდი შეუსმენარი უნდა ყოფილიყო ის, ვინც იმის ნათქვამს ვერ დაიმახსოვრებდა; თუ მოხდებოდა ასში ერთხელ, რომ მის სიტყვას პირველი თქმისათანავე ვერ მიითვისებდა, ვისაც ეუბნებოდა, ამ შემთხვევაში ასე ეტყოდა ხოლმე: ამას უთუოდ მონათვლა აკლიაო. იმისი მტკიცე და შეურყეველი ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ ყოველს წოდების კაცს, ვინც უნდა ყოფილიყო იგი: თავადი თუ აზნაური, ერის კაცი, ბერი, მღვდელი და თუგინდ თვით მღვდელთ-მთავარიც, რაც სათქმელი ქონდა, დაუფარავად, გაბედვით და თითქმის ბრძანების კილოთი ეტყოდა. ამ გარემოებაში თვით ტანის ახოვნება და სახის მოყვანილობაც ხელს უწყობდა განსვენებულს; როგორც მისი სახისაგანაც დაინახავდა მკითხველი, მისს საკმაოდ ტანის ახოვნებასთან თავისა და პირის სახეც ახოვანი ტანის შესადარი ჰქონდა. მაღლა ახედვა არ უყვარდა და მუდამ დაბლა იცოდა მზერა; თვალის ქუთუთოები წარბის გრძელი ბეწვებისაგან თითქმის დაფარული ჰქონდა. ლაპარაკის დროს მხოლოდ ხან-და-ხან შემოგხედავდა კაცს, მაგრამ მისი სახის გამომეტყველება და თვალების მრისხანედ გადმოხედვა თითქმის შეგაპყრობდა, გაფანტულებისაგან გაგანთავისუფლებდა, გონებას მოგიკრებდა და რაღაც ცნობის მოყვარედ გარდაგქმნიდა; ეს იყო მიზეზი, რომ ყოველს მის ნათქვამს ადვილად იმახსოვრებდა ყველა.

მ. გიორგი ზრუნავდა თავისი მრევლის სულიერი და ხორციელი კეთილ მდგომარეობისთვის. წირვა-ლოცვა ძალიან უყვარდა და შემოქმედის მონასტერში თუ ვინმე კანონიერად ვერ წაიკითხავდა წიგნს წირვა-ლოცვის დროს, ვაი იმისა ბრალი! ვინც უნდა ყოფილიყო იგი, მაშინვე მიაძახებდა და თავის შეცდომას უსწორებდა. იქნება ასში ერთხელ მონასტრის არქიმანდრიტს გაებედნა მისთვის და ეთქვა: «მ. გიორგი, საზოგადოებაში შერცხვება, ისე რომ შეუძახებ კაცს ისე ცოტა შეცთომისთვისო». მ. გიორგიც ესეთს პასუხს მიუგებდა: «არა, მ. არხიმანდრიტო, ღმერთთან ტყუილის თქმა კაცს არ ეპატიებაო; ერთი ეს და მეორე: ერთხელ რომ შერცხვება, მეორეთ დაუკვირდება და კითხვაში სიცრუეს აღარ იტყვისო». ასე ამ რიგად მრავალი მწიგნობარი გაუწითლებია სირცხვილისაგან და თუ კარგათ თავის იმედი არ ჰქონდა ვისმე, ისე მ. გიორგისთან წიგნის წაკითხვას ვერ გაბედავდა. ამ საგნის შესახებ აქ დავასახელებთ მხოლოდ ორს მაგალითს მისი ხასიათის გამომხატველად: შემოქმედის მონასტერში ერთი მღვდელ-მონაზონი თურმე ასრულებდა ღამისთევის ლოცვას და როდესაც უნდა ეთქვა: „დიდება შენდა, რომელმან მოგვფინე ნათელი!» ამის სამაგიეროდ შეცთომით ასე მოუვიდა თურმე თქმა და დასრულება: «დიდება შენდა, რომელმან მოგვფინე!» მ. გიორგიმ მაშინვე მიაძახა: რა მოგვფინა, რა მოგვფინაო? ამ დროს მღვდელ-მონაზონი მიხვდა თავის შეცთომას და პასუხად მისცა: «ნათელი». მეორე შემთხვევას მე თვითონ დავესწარი, როდესაც თუმცა ყმაწვილი ვიყავი, მაგრამ ეს შემთხვევა კი ხსოვნაში დამრჩა: ერთი მიცვალებული მღვდლის დასაფლავებაზე მიწვეული იყო განსვენებული გურიის ეპისკოპოსი გაბრ. ყოვლად სამღვდელო სდგას თავისი კრებულით მიცვალებულის კუბოსთან; დაიწყეს წესის აგება; როგორც მოგეხსენებათ მღვდლის წესის აგება ცოტათ ძნელი წასაკითხავია. კითხულობდა ორი მღვდელი მიმოგდებით, მაგრამ ერთმა მღვდელმა ცოტათი კოჭლობა დაიწყო კითხვაში. ეს როგორც შენიშნა მ. გიორგიმ, რაღაც უკმაყოფილოთ გარდახედა მღვდელს, მერმეთ ერთი მღვდელთ-მთავრისკენაც გარდმოიხედა იმავე სახით და უცბათ კაბის ჯიბისკენ გაიკრა ხელი! ამოიღო სათვალე, გაიკეთა და მღვდელს კურთხევანი ხელიდგან გამოაცალა! უთხრა: «არ გცოდნია» და თვითონ დაიწყო გარკვევითა და რეხიანის ხმით კითხვა. ასე ამ რიგათ შეცთომას არავის არ დაუთმობდა არავითარს საქმეში. კარგად ქართული კითხვა-გალობის მცოდნე უყვარდა და ძალიან თავაზიანად ექცეოდა. როგორც ვიცით, ყველასაგან ცნობილს, სახელოვან ქართული გალობის მცოდნეს ბ. ანტონ დუმბაძეს პირველად იმისაგან აქვს ნასწავლი ქართული გალობა და შემდეგ სხვა-და-სხვა ადგილებზედ დაუმთავრებია. როგორც მისი მოგვარე და მახლობელი ნათესავი, ანტონისას ხშირად დადიოდა მ. გიორგი, უყვარდა გალობის თქმა და გალობის მოსწავლეებს ხშირად ათქმევინებდა; ვისაც ნიჭს შეატყობდა, იტყოდა: ეს ბიჭი ივარგებსო. შვილი არ ყავდა, რადგან ძალიან მალე დაქვრივებულა.... ცხოვრება თვით მონასტერში ქონდა; ყანას არ მუშაობდა, მაგრამ უსაქმოდ ერთს წამსაც არ გააცდენდა. იმისი სამუშაო იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ სასოფლო გზის კეთება, დღეს ერთს გააკეთებდა ხვალ მეორეს, ზეგ მესამეს და ასე განუწყეტლად მუშაობდა. გზის მუშაობაზე არც მრეველს და არც სხვას არ მოიხმარებდა, თვითონ მუშაობდა. სადილისთვის ხან ერთ მის მრეველთაგანს შეუთვლიდა დიაკვნის პირით მჭადი და ღვინო გამომიგზავნეო და ხან მეორეს. არ იფიქროთ კი რომ ვითომ ვისმეს წყენოდა მისგან რისიმე თხოვნა; პირიქით მოხარულიც იყვნენ. უთუოდ რასაც შეუთვლიდა, ის უნდა გამოეგზავნათ და არა სხვა. მაგალითად: „მჭადი და ღვინო გამომიგზავნეო», ზედ კარგათ გაკეთებული ქათამიც რომ გამოეყოლებიათ, ძალიან საყვედურს ეტყოდა და შემდეგ არასოდეს აღარ თხოვდა რასმეს. სამაგიეროდ მ. გიორგიმ არ იცოდა თავის მრეველთან მღვდელ-მოქმედებისთვის ფულების თხოვნა. გარდიცვლებოდა მისი მრეველთაგანი ვინმე თუ არა, ის ყველაფერ სამსახურს უკლებლივ შეუსრულებდა; მრეველიც თავის შესახვედრ საწირავს თავის დროზე მიართმევდა. თავისი მრეველის სიმდიდრე და სიღარიბე აწონილი ქონდა, ზედ მეტის მიცემას ვერავინ გაბედავდა, რადგან არც წაიღებდა და კიდეეც მისი შეძლების გაუზომლობისთვის საყვედურს ეტყოდა. მ. გიორგისაგან უბრალო საყვედურის თქმასაც ღვთის რისხვასავით ერიდებოდა ყველა. როდესაც მღვდელ-მოქმედებისთვის ფულს მიართმევდენ, ხშირად ასე იქცეოდა: რა არის შვილო მაგ?—აგი მამაჩემის საწირავია.—რამდენია შვილო?—ერთი თუმანი გახლავს, მიუგებდა გლეხი.—დათვალე!—დათვლილია, ბატონო.—დათვალე მეთქი, ყაძახო (ასე უცბათ გამოჯავრებდა მისი ნათქვამის აღუსრულებლობა!)—დათვლილა გლეხიც: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი.—კარგი, ახლა, გაჩერდი! მაგი ხუთი მანეთი შენ წაიღე—არა ბატონო, მე თქვენ მოგართვით.—ყაძახო, წაიღე მეთქი! მეყოფა მე აი ხუთი მანათი. თუ გინდა სხვას აწირვინე, ვისაც გინდა.

ამგვარად იქცეოდა ცოტათი შეძლებულთან და შეუძლებელისაგან ხომ სულ არაფერს მიიღებდა?

შემოქმედის მონასტერი სდგას მაღალს გორაზედ და ამ გორის ძირში ჩამოდის კარგა მოზრდილი მდინარე ბჟუჯი; გაღმა-გამოღმა მიმომსველელთათვის მიუცილებელია ბჟუჯზე ერთი ხეირიანი ხიდი, უხიდოთ ამ მდინარეზე მიმოსვლა შეუძლებელია; ამისთვის ყოველთვის ხიდია ზედ, მაგრამ ამ ხიდით მონასტერში მისვლა ცოტათი შორს მორბას ითხოვს.

მ. გიორგი შეუდგა მეორე ადგილს ბჟუჯის წყალზე ხიდის გაკეთებას; ამ მხრიდან თუმცა ხიდის და გზის გაკეთება საძნელო იყო, მაგრამ მაინც არ შეუშინდა სიძნელეს, რადგან მთელი სოფელი სწუხდა მონასტერში ყოველ წირვა-ლოცვაზე სიარულს გზის სიშორისა გამო. მოამზადა ყოველი სამზადისი, გაწკაპა ოთხ-კუთხი ხის ჯარგვლები და ამაზე გამართა ხიდის საძირკვლები ამაზედ გაფინა წაბლის სქელ-სქელი ფიცრები. ახლა საჭირო იყო მხოლოდ ჯარგვლების ქვით ამოვსება. სადაც ეს ხიდი კეთდებოდა, იქ ჩამოდის ოზურგეთში მიმავალი გზა; აქ მოგზაურთა მიმოსვლა შეუწყვეტელია. მ. გიორგიც აქ მუშაობდა და როცა მგზავრი ჩამოიარდა, დაუძახებდა:

— აქ მოდი, მამა, შენ.

— რა გნებავს, ბატონო?

— ბატონოს თავი დაანებე (ბატონოს დაძახებას საშინლად სწყენდა), მოდი და ერთი სამი ქვა ჩააგდე ამ ჯარგვალში! მგზავრიც სიამოვნებით აუსრულებდა თხოვნას, მაგრამ ზოგი მოგზაური მეოთხე ჯერაც დაიწყებდა ქვის მოტანას და მ. გიორგი კი გაუჯავრებდოდა: წადი, ძმაო, შენს გზაზე, საქმე არა გაქვ?! სამი ქვის ჩაგდება გითხარი და არა ოთხისო. ზოგიერთი ახალგაზდები მანემდის არ მოშორდებოდენ ქვის ზიდვას, სანემ არ გააჯავრებდენ. ამ ხიდის გაღმით ქვის კლდე იყო გასაჭერი, რისთვისაც საჭირო იყო ლაღუმი და წამლით დანტერევა. მ. გიორგის წამალი არ ქონდა და ამ დროს შემოქმედის მონასტერში ახლად დანიშნული ქუთაისის გუბერნატორი ლევაშევი ჩამობრძანდა. მ. გიორგიმ მიმართა ერთს იქაურს მწერალს და სთხოვა არზის დაწერა, რომლითაც უნდოდა გუბერნატორისთვის ერთი ფუთი წამლის თხოვა გზისთვის. მწერალმა თხოვნა დაუწერა და შემდეგ მ. გიორგის გადუთარგმნა. მ. გიორგი ხომ არ მოერიდებოდა იმას და ასე უთხრა: ვინ გითხრა შენ დაწერეო: უბრწყინვალესო, ჯერებია-

ნო, ჩინიანო, პომპოლიკო, პოპოშნიკოვ. შენ წერა არ გცოდნიაო (მ. გიორგის, ზედმეტი, ერთი სიტყვაც არ უყვარდა); თუ შეგიძლია ასე დაწერეო: ბ. გუბერნატორო, შენი აქ მოსვლა გამიხარდა, იმისთვის, რომ გზას ვაკეთებ და ერთი ფუთი წამალი მჭირიადა იმედია, მომცემ.

— მ. გიორგი ხელი მაინც მოაწერე ამ ქაღალდს, უთხრა მწერალმა.

— რა საჭიროა, რომ მნახავს, ვერ მიკითხავს, თუ უნდაო! უთხრა მ. გიორგიმ.

— სწორედ ასე უთარგმნია მწერალსაც და ისე დაუწერია, როგორც მ. გიორგიმ უთხრა. მ. გიორგიმ თავის ხელით მიართვა თხოვნა გუბერნატორს ასე უთხრა: — გზისთვის მინდა და თუ მომცემ კარგი, და თუ არა მშვიდობით იყავი. ლევაშოვს გაუკვირდა ამ გვარად დაწერილი თხოვნა, მაგრამ, როცა მისი გარემოება უამბეს, გაბრაზულდა და ასე უთხრა მ. გიორგის: 1 ფუთ წამალს მალე გამოგიგზავნიო და თუ კიდევ დაგჭირდეს გზისთვის წამალი, შენი ხელით დასწერე ქართულად, ამ გვარად თხოვნა პირდაპირ მე გამომიგზავნე და წამალს, რამდენსაც მთხოვ, გამოგიგზავნიო.

ამისთანა ძნელი საკეთებელი გზა, რასაკვირველია ერთი კაცისგან მალე არ გაკეთდებოდა. და ამიტომ საქმე ნელნელა მიდიოდა.

ერთხელ, ასტყდა საშინელი წვიმები, ბქუჯის წყალი ისე ადიდდა მთებისგან დაქანებული ნიაღვრისაგან, რომ ნაპირებს გადასცდა და მთელს ჭალებს მოედვა.

შეატყობინეს მ. გიორგის წყლის ზომაზე მეტი ადიდება. რადგან ჯერ დაუსრულებელი და დაუმგრებელი ხიდისთვის საშიშრო იყო ასე დიდი წყალი, ამისთვის მ. გიორგიმ დაიკავა კურთხევანი ხელში, მივიდა ხიდთან და დაიწყო ლოცვა; მ. გიორგი თან ლოცულობდა და თან ხიდს გარდახედავდა ხშირად, თუ რა მდგომარეობაში იყო ხიდი! ულმობელმა წყალმა მალე გამოაცალა ხიდს ქვეშ ჯერ კიდევ ქვით დაუმსებელი ჯარგვლები. მ. გიორგი შეჩერდა ცოტა ხანს. ძალიან ეწყინა და ბოლოს ასე სთქვა: ამ შეჩვენებულმა წყალმა ჭკუა მასწავლაო! აწი იმ ნაირ ჯარგვლებს ჩავდგამ, რომ თავის დღეში ვერ გააქანოსო! ეს მაინც პლანი იყო, ჭლანიო!

მ. გიორგიმ იცოდა თავზე თათრული სარტყელის შამოხვევა და იმაზე დიდი, ძალიან დიდი ფაფანაკი ქუდის დახურვა. წელზედაც თათრული სარტყელი იცოდა.

როცა ანაფორა შემოაგვებოდა და შემთხვევით ამ დროს მისვლა შეხვდებოდა განსვენებულ გურიის ეპისკოპოსს გაბრიელთან, მ. გიორგი ასე ეტყოდა ყოველად სამღვდელოს: ორი ანაფორა თუ გაქ, ერთი მომეცი (როგორც ზევითაც ვთქვით, მ. გიორგის ზედმეტი სიტყვის თქმა არ უყვარდა). ყოველად სამღვდელოც იმ წამს მისცემდა ანაფორას. ახალი ზნეწესის მიმდევარი არაფერში არ იყო და არც უყვარდა. მხოლოდ ერთად ერთი ჩაე იყო იმისი საყვარელი ყველა ახლებში. ნაშუადღევს რომ შეხვედროდა ყოველად სამღვდელოსთან მისვლა, როცა ყოველად სამღვდელო ეტყოდა: მ. გიორგი, უსადილო იქნები, სადილი მიირთვიო; მ. გიორგი ასე ეტყოდა: სადილი არ მინდა და ჩაის თუ მასმევ, კარგი იქნებაო.

ბევრი ხანი არ არის, რაც მ. გიორგი დუმბაძე გარდაიცვალა; ექვსი, თუ შვიდი წელიწადზე მეტი არ იქნება. ბ. დიმიტრი ბაქრაძე მისგან გამოცემულ წიგნში: («არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში». გამოც. 1878 წ.) მ. გიორგი დუმბაძეს 90 წლისათ რაცხს და თუ ეს წიგნი იმავე წელში გამოცემულია, როდესაც მ. გიორგი დუმბაძე ნახა ბ. ბაქრაძემ, ის უნდა გარდაცვლილიყოს არა ნაკლებ ასის წლისა.

ღმერთმან ჰქმნას, რომ მ. გიორგი დუმბაძის მსგავსი ჭეშმარიტი კაცი და მრევლთათვის საყვარელი მოძღვარი მრავალი გვყოლებოდეს.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.

*რაჟდენ ხუნდაძე.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილი რედაქციის მიმართ.

**მოწყალეო ხელმწიფეო,**

**ბ. რედაქტორო!**

თქვენს პატივცემულ გაზეთში ბ. ილია ჭყონია აცხადებს, რომ 1880-83 წლებს განმაველობაში, «დროებაში» ხელის-ხოწერით მოიკრიბა ექვსასი ოდ ფანათი განსვენებულის ისტორიკოსის ბროსეს პრემიისათვის და როცა სერგეი მეხბა გადაცა „დროება“ ი. მაჩაბელს, მაშინ ამ ფულია დანიშნულებისამებრ მოხმარება დაეალა ამ უკანასკნელსო. თუმცა თქვენ ეტყვს აცხადებთ თქვენს გაზეთში, იქნება ეს აბმაეიც 


შემცდარი გამოდგეს, როგორც შემცდარი გამოდგა ბ. ჭყონიასგანაეე თქვენდამო მიწოდებული ცნობა რუსთველის ძეგლ სათვის ორასის თუმნის მოგროვებისა, რომელიც ვითომ მე, ი. მაჩაბელს, მქონოდეს გარდმოცემული,—მაგრამ ამ შემთხვევაში კი ბ. ი. ჭყონია სრულიად მართალია, მართალია, რომ განსვენებულ სერგეი მესხის რედაქტორობის დროს მოგროვდა 532 მ. ბროსეს პრემიისათვის და ამ ფულის გადახდის მოვალეობა მე ვიკისრე. და დღესაც მე მაქვს ნაკისრები, თუმცა ეს ფული ჯერ არსად მიბარებია და იქნება ამ ერთ-ორ წლამდეც ეერსად მიეგბარო. გთხოვთ, ადგილი მიბოძოთ და ცოტა ერცლად მაამბობინოთ ამ ფულის და «დროების» აღრძალვის გარემობა, რომ თქვენმა მკითხველებმა შეიტყონ მიზეზი ასეთის პირველის შეხედვით უცნაურის ამბისა, უცნაურის პასუხისა. რასაც აქ ვიტყვი, ყოველივ ფერი შემიძლიან სრულიად სანდო და ყველასაგან ცნობილ პირთა მოწმობით დადასტურეთ:

1883 წ. განსვენებულ ს. მესხა თოთხმეტის წლის უმცროსის ბროსის ბენდეგ გამოაცხადა, მე ეეღარ წაეუღებ გაზეთს, სხვა იკიარის ვინმე და მოლაპარაკების შემდეგ მე გავგზავნეთ „დროება“ 1 მაისს 1883 წ., რომელთან ერთად ექვსასი თუმანი ძეგლი ეალი გაზეთისა კარად დამდო. ამ ეალში სტამბარ., ქალალდისა, ალოთ-ამწყობებისა და სხვა ეალებ გარდა იყო ზემოხსენებული 532 მანათიც. მოვკიდე გაზეთს ხელი და წლის დასასრულამდე სამას—ოთხასი თუმანი კიდევ სხვა ეალი მოემატა, რადგან წლის ხელის-მოწერის ფული, უმთავრესი შემოსავალი გაზეთისა, უწინ გაზეთსვე მონდომოდა და მე დამრჩა მხოლოდ ყოველდღიური წერილმანი შემოსავალი, რაც, რასაკვირველია, გაზეთის ხარჯს ვერ აუვიდოდა. მე იმედი მქონდა, რაკი გაზეთის მეზობელები ხალხი თან-და-თან ვრცელდებოდა და უწინდელი ძველი მდგომარეობა შეიცვალა, შეძლება მომეცემოდა ოთხ-ხუთ წელიწადში გამეტეტრებინა ეს ეალი და შემდეგ შემოსავალი გაზეთის გასაუმჯობესებლად მომეხმარა. მე მეშადა ამ ეალის დროს ნაკისრები მოვალეობა გახარების დროს გადამეხადნა და მოკლე ხანში პირნათლად გამომეყვანა საზოგადოების წინაშე დამწყებნი და განმგრძობნი ამ საქმეყენო საქმისა. მაგრამ მიბუთლა ბედმა, ორი წელიწადი ძლივს დასცალდა ჩემა ხელში გაზეთს და 12 სექტემბერს 1885 წ. გაზეთი დაიბეჭდა. გარდა ზნეობრივის ტანჯვისა, რომელიც მაშინ მე გამოვცადე, კისრად 9000 მანეთი ეალი დამედო. გაზეთის დახურვის უმცლეე 50 დე ბრი შეიყარა ბ. იოს. მელიქი მეილია სადგურში, თბილისში, სოლოლაკზედ ამ საქმეზედ მოსალაპარაკებლად. აქ დაესწრენ თითქმის ყველანი თბილისში მყოფნი, ვინც კი ჩვენს ლიტერატურასთან დაახლოებულია და გადასწყვეტეს ყოველ თვიურ ჟურნალის «ივერიის» ყოველ-დღიურ გაზეთად გარდაქმნა. აქვე ჩამოვარდა ლაპარაკი „დროების“ ეალებედ ჩემდა დაუკითხავად. ყველამ ერთხმადა სთქვა, ეგ საზოგადო ეალია და საზოგადოებამეე უნდა გადაიხადოსო, რადგან გაზეთისათვის არის აღებული, რომელმაც მრავალი გაჭირების დღე გამოიარა, გზა გაიკვალა, კითხვა მოთხოვნილებად გარდაქმნა და რადგან მომავალში მშრომელთ აღარ გაუჭირდებათ აღარც თანამშრომლების შოვნა, აღარც ხელის-ჰომწერლებისა, აღარც თანამგრძნობლებისა და იქნება თანდათან შესაძენი მოგებაც მიიღონ ხოლმეო; რომ ჩვენში გაზეთის კითხვის სურვილი ისევ ყლია გახშირებული «დროების» წყალობით და ისე ხშირდება უფრო და უფრო, რომ მომავალ გაზეთს, «დროება» ერქმევა თუ «ივერია», აღარაფერი გაუჭირდებაო. მე, რაკი ჩვენი საზოგადო გულ-გრილობის ამბავი ვიცოდი, გამოვაცხადე: გთხოვთ, მაგ აკანზედ ლაპარაკს ნუ ინებებთ მეთქი; იქნება მართალა აგრეც იყოს, როგორც ბრძანებთ, მაგრამ რადგან ოფიციალურად მე ვიკისრე ეგ ეალი, მეეე უნდა გადამხდეს და გადამხდება კიდეეაც-მეთქი. ჩამოვთვალე, რაც ვალი მქონდა, ბროსეს პრემიაც დავუახლე და თან დავუმატე, იქნება მთელი ჩემი სიცოცხლე ვერც კი ეეუფიდე მაგოდენა ვალს, რაკი გაზეთი ხელთ აღარა მაქვს, ბაგრაეა ყოველის ღონის-ძიებით

ვეცდები პირნათლად გამოვიდე ადრე, თუ გვიან საზოგადოების წინაშე და იმათი ნდობაც გავამართლო, ვინც ეგ საქმე მე გადმომცა-მეთქი. მაინც არ მომეშვნენ, კომიტეტი შეადგინეს, მოთავეობა იკისრა თ. ილია ჭავჭავაძემ, სიებიც დასწერეს, ფულიც გააწერეს, ბევრს კიდეც გამოუცხადეს, შენ ამა და ამდენი უნდა მოგვცეო და სხვ.; მაგრამ ეს ყველა ამაოდ დარჩა, წინად-გრძნობამ არ მიღალატა და მთელი ვალი, ბევრის უქმის მითქმა-მოთქმის შემდეგ მე დამატყდა *).

მას აქეთ მოვდევ ამ ვალების გადახდას და დღესაც კიდევ ვერ მომიღია ბოლო. შეიძლება ეს მისაყვედუროთ, რატომ პირველად ბროსეს პრემია არ გადაიხადეო, მაგრამ ხუთას ექვსას თუმნამდე იმისთანა ვალი იყო, რომელსაც ვადა ჰქონდა და ვადის გადაცილება არას გზით არ მოხერხდებოდა. ეს ვალები იყო ამწყობებისა, სტამბისა, ქაღალდისა, კერძო პირებისა. ჩემდა საბედნიეროდ ამ მეტად შემაწროებელ ვალებს როგორც იყო მოვრჩი და დამრჩა მხოლოდ სამას თუმნამდე ორის პატივცემულის პირისა ბბ. გიორ. ქართველიშვილისა და დავ. სარაჯაშვილისა და კიდევ ბროსეს პრემიისა. ვიმედეულობდი და დღესაც არა ვკარგავ იმედს, თუ არ ერთ წელიწადში, წელიწად-ნახევარში მაინც ეს უკანასკნელი (ბროსეს პრემიის) ვალი სრულიად მოვიშორო, რადგან ზემოხსენებულ ორ პირთ იმდენი თავაზიანობა გამოიჩინეს, რომ არამც თუ უსარგებლოდ მადროეს ამ საზოგადო ვალის გადახდა, ამოდენა ხნის განმავლობაში კრინტიც არ დაუძრავთ ამ ჩემს უნებურ უპირულობაზედ და შემდეგშიაც ეჭვი არა მაქვს დამაცდიან, ჯერ საზოგადოების მოვალეობა მოვიშორო და მერე მათ შეძლებისამებრ გავუსწორდე.

დასასრულ, არ შემიძლიან მადლობა არ მოგახსენოთ, ბ. რედაქტორო, რომ მომეცით შემთხვევა ამ ამბის გამოაშკარავებისა, რომელიც თუმცა კერძო პირთ შეეხება თითქო, მაგრამ საზოგადო მნიშვნელობას მოკლებული არ არის.

თქვენი პატივისმცემელი
ი. მაჩაბელი.

*) აქ საჭიროა, ერთი გარემოება გავიხსენოთ: არამც თუ არავის «დროების» ვალი ჩემს გარდა ერთი მანეთიც არ გადაუხდია, ამ გაზეთს ბრმა შემთხვევის გამო მოაკლდა 1500 მანათამდე შემოსავალი, რომელიც იმისს კასაში შევიდოდა, თვე ან თვე-ნახევარი კიდევ რომ დასცლოდა. მე მოგახსენებთ ბანკების განცხადების ფულზე. რაკი ქართული გაზეთი აღარ იყო, ბანკებმა თავიანთი განცხადება ყოველთვიურ ჟურნალ „ივერიაში" დაბეჭდვინეს და ფულიც «ივერიის» რედაქტორს, თ. ილია ჭავჭავაძეს მიართვეს, იმ ჟურნალის რედაქტორს, რომელშიაც ორ-წელიწადზე მეტი გაზეთის აღებამდე უსასყიდლოდ მარტო ვმუშაობდი. თუმცა სასყიდელს დაპირებულნი იყვნენ და ასე გასინჯეთ, ერთხელ იძულებული ვიყავ პირიქით ჩემის მოადგილისათვის სასყიდელი ჩემის გაჭირებული ჯიბიდან მიმეცა.

## პ ი წ უ ნ დ ა

პიცუნდა (ქართულად ბიჭვინტა) სტრაბონის სიტყვით, (66 წელში ქრისტეს დაბადებამდე და 24 წელში ქრისტეს შემდეგ) იყო ძველი და დიდი ქალაქი, რომელსაც სახელად ეწოდებოდა პითიუსი; სივრცით ეს ქალაქი იყო 30 ვერსამდე. *) აქ, როგორც სჩანს არრიოჩის ქარტისაგან მდ. ბზიბი მიმდინარეობდა ტყის შუა და ჩადიოდა პიცუნდის ნავთ-სადგურში; ბზიბის ასეთი მიმდინარეობის ნაშთია თევზის ტბა ინკითი, რომელიც მდებარეობს დასავლეთით პიცუნდიდამ ოთხი ვერსის მანძილზე; ეს ტბა ისეთივე მნიშვნელობისა არის, როგორც პალეოსტომი (რომელიც მდებარეობს რიონის შესართავში). სილიანი კიდე პიცუნდის ნავთსადგურისა, რომელზედაც იზრდება ნაძვის ტყე, და რომლისაგან ეწოდა სახელი თვით ამ ქალაქს, იმედია, შემდეგში შეიქნება კავკასიაში საუკეთესო საცხოვრებელ ადგილად გულით ავათმყოფთათვის. როცა VI საუკუნეში აფხაზებმა მიიღეს ქრისტიანობა და ცოტა განათლებაც შევიდა მათში, VIII საუკუნიდამ დაწყებული ბერძნების დახმარებით, ივერიის დამოუკიდებლად, აფხაზეთში ინიშნებოდენ დამოუკიდებელი ქათალიკოსები აფხაზეთის და იმერეთის სახელწოდებით, რომელთაც, პროკოპის სიტყვით, გაიჩინეს თავიანთი კათედრა იმ დიდ ტაძარში, რომელიც ახლად მონა-

*) სტრაბონის სიტყვით ეს დიდი და მდიდარი ქალაქი პიტიუსი აუკლიათ გენიოხებს (ასე უწოდებდენ საზოგადოდ აფხაზთ VI საუკუნეში ქრ. შემდეგ).

მესამე საუკუნის დამლევს ქრისტეს შემდეგ პითიუსი აულიათ და გაუქურდავს სკითებს, რასაც მოწმობს ზოსიმე, მწერალი V საუკუნისა ქრ. შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლულ აფხაზთათვის ადამენა ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I 551 წელში. ამ ტაძრის გეგმა გადადებულია კონსტანტინეპოლს წმიდა სოფიის ტაძრისაგან, მხოლოდ პირველი უფრო პატარაა. ამ ტაძართან სხვა და სხვა დროს აუშენებიათ პატარა ტაძრები (რომელთა ნანგრევები დღესაც სჩანს), სამრეკლოები და საცხოვრებელი სახლები, რომელთა ბალავრები მოსჩანან იმ გზის პირად, რომელიც მიდის ტაძრიდამ ზღვისაკენ და რომლის ჩაყოლებით ჩამწკრივებულია ალვის ხეები.

ახლად აშენებული პიწუნდის ტაძარი უკურთხებიათ წმ. სოფიის სახელზედ, მსგავსად კონსტანტინეპოლის წმ. სოფიის ტაძრისა და ეს სახელი ეწოდებოდა მას XVI საუკუნემდის; თვითონ სილიანი ზღვის კონცხს (мысь) ეწოდებოდა წმ. სოფიის სახელი *). პიტიუს იხსენებენ ჩვენი მატიანების მწერალნი მხოლოდ XI საუკუნიდამ და უწოდებენ ბაჯვინტას.

პიწუნდა მდებარეობს შავი ზღვის ადმოსავლეთის ნაპირზედ, მდინარე ბზიბის მარცხნივ სამი ვერსის მოშორებით პიწუნდის კონცხიდამ ჯ ერთი ვერსით ზღვის პირიდამ.

პიწუნდის მთელი ნავთსადგური ზღვის პირად და შიგნით (სიგრძით 4 ჯ სიგანით 1 ვერსზედ) შემოსილია ნაძვის ტყით, რომელშიაც მოსჩანს ტაძრის გუმბათი, თუმცა თვითონ ტაძარი ტყის გვერდით სდგას. ადმოსავლეთის კედლის წინ ჩამწკრივებულია ალვის ხეები, იმათ ჩრდილ ქვეშ ხარობს ბრეწოული, რომელთა შორის მე შევნიშნე ჩინეთური ყვავილები.

*) იმ კონცხზედ, რომელიც დიდზედ შედის ზღვაში, რიგია აშენდეს პიწუნდის ახალი მფლობელებისაგან სამლოცველო აფხაზეთის ყველა წმიდანების სახელზედ. აფხაზეთის ყველა წმიდათა ხატზე, ჩემის აზრით, დახატეს უნდა იქმნენ პიწუნდის ღვთის შობელი, რომელსაც ხელში უპავია ძე; მის მარჯვნივ წმ. იოანნე ნათლის-მცემელი და წმ. იოანე ოქროპირი, მარცხნივ წმ. მოწამენი ანდრია და სიმონ კანანელი, ხოლო ღვთის შობლის ფერხთ-ქვეშ მუხლ-მოყრილი იპატი, ეპისკოპოსი გარსკისა (20 ნოემბერს), წმ. მოწამე გასილისკი, ეპისკ. კომანსკისა, (22 მაისს), წმ. მოწამე ლონგინი (24 ივნისს), ბერძნული სვინაქსარში, ერთი შვიდ ძმათაგანი ანტიოქიის მეომართა, რომელნიც დიოკლიტიანეს დროს გაგზავნილ იქმნენ დასასჯელად აფხაზეთში, რომელიც გარდაიცვალა ზღვაში მოგზაურობის დროს და დასაფლაგებულ იქმნა პიწუნდაში.

*) ეს ზარა ალბად მოტანილია გენუელებისაგან, რომელთაც გადეგენეს აფხაზეთიდამ ბერძნები XIII საუკუნეში.

*) როცა 1860 წელს პიწუნდის ტაძარი განახლეს, მხოლოდ ძაშინ დაემზგავსა მისი ფანჯრები საქართველოს ეკკლესიის ფანჯრებს.

როცა თვითონ მონასტერს მიუახლოვდები, მარჯვნივ, გადაჭიმულია მშვენიერი მინდორი, რომელზედაც ადგილ-ადგილ ხარობს ხეხილები ჯ სხვა უბრალო ხეები.

ტაძარს უბრალო ქვის გალავანი აქვს ირგვლივ შემოვლებული; ეს გალავანი გაკეთებულია XVIII საუკუნეში, როცა თათრები ხშირად აოხრებდნენ აფხაზეთის და XVII საუკუნის ნახევარში აფხაზეთის ქათალიკოსები მათგან იძულებულნი შეიქმნენ დაეტოვებინათ პიწუნდა ჯ გადასახლებულიყვნენ იმერეთში (ქუთაისში).

1830 წლიდამ აქ ააგეს რუსების სამხედრო ციხე, რომელის ნაშთად დარჩენილა ციხის სარგმელი, ზარბაზნების დასადგმელი; ეს ციხე მიშენებულია ტაძრის გალავნის ჩრდილოეთ კედელზე. როცა 1830 წელში პიწუნდა დაიკავა რუსის ჯარმა, პიწუნდის ტაძარში ძლიერ იშვიათად სრულდებოდა ღვთის-მსახურება (ლოცვა და წირვა) სამხედრო მოსამსახურეთათვის პოლკის მღვდლისაგან. სალოცავად იწოდებოდნენ ამ ტაძარში მდლოცველებს პატარა ზარის რეკით, რომელიც ეკიდა მაღლობელ ხეებზე; ზარაზე ლათინური ასოებით ეწერა წელიწადი 1429 *). სევასტოპოლის წარსულს ომების დროს ეს ზარა მოიპარეს. როცა ჩვენმა ჯარმა დაიკავა პიწუნდა 1830 წელში, ტრაპეზზედ ნახეს ქართული სახარება XV საუკუნისა; ეს სახარება დღეს ინახება საიმპერატორო საჯარო წიგნთ-საცავში. რამოდენიმე ნაბიჯზე ტაძრის გალავნის ალაყაფის კარებიდამ, მონასტრის ადმოსავლეთის მხრით, არის ჭა, რომელშიაც გაუკანილი ყოფილა წყაროს წყალი, მაგრამ ეს ჭა დღეს ამოგსებულია ხის ფოთლებით. პიწუნდის ტაძარი სულ სხვა გემოზეა აღშენებული, ვინემ საქართველოს და სომხეთის ეკკლესიები. **) სიგრძით ბიჭვინტის ტაძარი 19 საქენი და ორ არშინ ნახევარია, სიგანით 10 საქენი ჯ 2 არშინი, ხოლო გარედამ სიმაღლით 14 საქენი და 2 არშინი. ტაძრის ბალავერი გაკეთებულია უბრალო ქვებისაგან, კედლები

Литогр. Г. И. Демурова въ Тифлсѣ.

ბიცუნდის მონასტერი.

სიგანით ორი არშინია და ნაშენია იტალიანური გამომწვარი აგურისაგან და ალაგ-ალაგ ერთნაირი ზომის ფილაქანი ქვისაგან; სჩანს ტაძარი ნაშენია სხვა და-სხვა დროს, როცა კი მოზიდავდნენ ქვას და აგურს. ქვა დ~ აგური ნაშენებია ისე, როგორც კონსტანტინეპოლის ტაძარი. ბიჭვინტის ტაძარი ნაშენებია ნამდვილს ბიზანტიურს გეგმაზე. სამი მხრით: ჩრდილოეთით, დასავლეთით დ~ სამხრეთით მისი გუმბათი დაშვებულია სამ მაღალ სვეტის თავზე. მისი ორ სართულიანი სტოვა მიშენებულია ტაძრის ტრაპეზის დასავლეთ ნაწილზე. სამი პატარა დერეფანი, რომელიც ჰქონებია ტაძარს განახლებამდე (1864 წ.), მონგრეულია. მისი ბერთის მსგავსი გუმბათი ამშვენებს ტაძარს. გუმბათი ოდესმე დახურული ყოფილა სპილენძის ფურცლებით, დღეს კი დახურულია იგი რკინით. ტაძრის შიგნით საკურთხეველს ნახევრობით მომრგვალებული სახე აქვს და გაშვერილია აღმოსავლეთით; საკურთხევლის შუაგულზე არის წმიდა ტრაპეზი, მის უკან არის მაღლობი ადგილი კათალიკოსის დასაჯდომელი, მარჯვნით სალარო, მარცხნით სამსხვერპლო. საკურთხეველს ჰყოფს ტაძრიდამ ქვის დაბალი კანკელი, რომელშიაც დატანებულია შვიდი სანათური, ორი კარი მცირე და დიდი გამოსვლისათვის, ადგილობით ხატების ჩასასვენებლად და სამეუფო კარებისათვის, ამ ტაძრის საკურთხეველი ჰგავს სიონის ტაძრისას, რომელიც აშენებულია ატენის მინდორში. საკურთხევლის აღმოსავლეთის კედელზე მოსჩანდა კედლის მხატვრობის ნაშთები; ვლახერნის ღვთის-მშობელი, მოციქულებით. თორმეტი ზეზედ მდგომარე მღვდელმთავრები გარს არტყიან კათალიკოსის მაღალ კათედრას. კიდევ 14 წმიდანი, ლაზარეს მკვდრეთით აღდგენა და ფეხის ბანა ძლივსღა მოსჩანდნენ (1860 წლიდგან) საკურთხევლის კედელზე და რამდენიმე მხატვრობა მოციქულთა გუმბათში ფანჯრებ შუა; ყოველივე სხვა მხატვრობა წაშლილია, ანუ მოფხეკილა. როცა უკანასკნელად განაახლეს ეს ტაძარი (1860 წელში), გუმბათში შეუსწორებიათ ზოგიერთი მხატვრობა მაცხოვრისა, და მოციქულების გამოხატულება ფანჯრებ შუა, ხოლო საკურთხეველში აგრეთვე შეუსწორებიათ რამდენიმე წმინდანების მხატვრობაც.

(შემდეგი იქნება)

## დიდუბის ღვთის-მშობლის ეკლესია.

1184 წლამდე თფილისი ზედი-ზედ ოხრდებოდა და ინკრეოდა ხან სპარსელებისა და ხან თათრებისაგან; მაგრამ 1184 წლიდამ 1212 წლამდე თფილისი ტკბებოდა მშვიდობიანი ცხოვრებით. ამა დროს მამაკი და შესანიშნავი თამარ მეფის წყალობით ქართველები იმარჯვებდენ და თავზარსა სცემდენ გარეშე ძლიერ მტრებს. დიდუბე თამარის დროს იყო ერთი შეენიერი ადგილი თფილისის ქალაქში და მცხოვრებნიც ამ დროს უმეტესად დიდუბეში ყოფილან. ამ ადგილზედვე ყოფილა თამარის სასახლეც აგებული, როგორც მოგვითხრობენ, მისი მამის გიორგისაგან. დიდუბის ეკლესია აგებული იყო აგურით ღვთის-მშობლის სახელობაზედ. მოთხრობა არის, რომ როდესაც თამარის დედა დედოფალი ბურდუხან

მძიმეთ შეიქნა, გიორგი მეფემ აღთქმა მისცა ღმერთს, დიდუბეში ეკლესია აეშენებია, თუ დედოფალი მშვიდობით მორჩებაო. დაიბადა თამარი. მშვიდობით მორჩა დედოფალი და აი გიორგი მეფემ ამ ადგილს ააგო სასახლე და ეკლესია. დიდუბის ადგილი თამარს ძლიერ უყვარდა და ამისთვის ყოველთვის აქ დახვდაედა ხოლმე ჯარებს. «ქართლის ცხოვრება» მოგვითხრობს, რომ გამარჯვებული ჯარი ომის დოელათს აქ წარუდგენდა თამარს.

«...და განწყვეს ველსა დიდუბისასა აეჭალამდის აქლემი ყოველი ტვერთითა, ცხენი ყოველი აკაზმულობითა; ეგრეთვე ყოველი იგი ეზორანი თეზისითა დროშითა: პირველად ხალიფას დროშა, მერმე ათაბაგისა, შემდგომთ ითა შემდგომად გაავწყვეს კარითგან ქალაქისად (ეტყობა დიდუბე ქალაქი ყოფილა) ვიდრე ხევამდე გლდანისა, ტყვე ყოველი კაცი, ხელმწიფე, ანაურთა მონამდის—თორმეტი ათასი, ავაზა ორმოცი, ცხენი ოცი ათასი, ჯორი შვიდი ათასი, ყოველი კიდებული. სხვათა სიმდიდრეთა და საჭურჭლეთა, ოქროთა და ლართა ვინმცა უძლო აღრიცხვად: განიყვანეს თამარ და შეწირნეს და ათაყვანეს ყოველნი იგი თავნი სპარსეთისანი, თვითცა თაყვანი სცეს და მიულოცეს მეფობა ბედნიერი ღვთისა მიერ»...

დრო იცვალა. შემდეგ თამარისა თან-და-თან გაძლიერდენ საქართველოს მტრები, დაიწყეს ისევ აოხრება თფილისისა და სხვა ეკლესიებს შორის დიდუბის ეკლესიაც დასწვეს და დაქცეს. აქ 17 და 18-ტე საუკუნოებში იყო ძველი დიდუბის ეკლ. ნანგრევი, რომელზედაც სალოცავად ისე იკრიბებოდა ხალხი, როგორც მთელს ეკლესიაში. საქართველოს ექსარხოსის პაველს დროს აღიძრა კითხვა დიდუბის ეკლესიის განახლების შესახებ. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის განსვენებულ დეკანოზს ბესარიონ ზედგინიძეს, რომელმაც დიდი შრომა მიიღო ამ ეკლესიის აშენების საქმეში. ეკლესია სხვა გეგმაზედ აშენდა და მართლაც კარგი ეკლესიაც აშენდა. პირველად იგი უგუმბათო იყო; მაგრამ ეხლა მშვენიერი გუმბათი აქვს და მთლად ამშვენებს დიდუბის არე-მარეს. დიდუბის ეკლესიასთან განსვენებულმა ზედგინიძემ სკოლის შენობაც კარგი ააგო და სკოლაც არსებობდა. ამ ეკლესიას დიდი შემოსავალი აქვს სანთლისაგან და თუ როგიანი წინამძღვარი ეყოლა, მშვენიერად შეიმკობა იგი და სკოლასაც კარგად შეინახავს.

ამ უკანასკნელს დროს დიდუბის ეკლესია შეიქნა ჩვენ ქართველებისათვის ნეტარ სახსენებლად და საყვარელ ადგილად, რადგან იქ განისვენებენ ნაშთნი ქართველთა წარჩინებულ მოღვაწეთა.

დეკ. დ. ღამბაშიძე.



## წესი სრულიად სომეხთა ქათალიკოსის მკრტიჩ პირველის მირონცხებისა.

სულ ერთი თვე იქნება, რაც იერუსალიმდამ ეჩმიაძინში გამოემგზავრა სრულიად სომეხთა ქათალიკოსი მკრტიჩ პირველი. მათი უწმიდესობა მიბრძანდა თბილისში და თბილისიდამ გაემგზავრა ეჩმიაძინში, სადაც მათი უწმიდესობა მიიღებდა მირონცხებას 26 ენკენისთვეს. აი რა წესით უნდა მოხდეს ეს მირონცხება.

მირონცხების წინადღით, საღამოთი, ეჩმიაძინის მონასტრის ძმანი შემოსილნი, ჯვრებით და დროშებით, უნდა შეკრიბნენ პატრიარქის სასახლის კარებთან. აქ საჩრდილებელ (балдахинъ) ქვეშ დადგება მათი უწმიდესობა და მონასტრის ძმანი გალობით მიიყვანენ მათ უწმიდესობას ტაძარში. საკურთხეველის წინ პატრიარქი წაიკითხავს ფსალმუნს «გიხაროდენ» და დაწყება მწუხრი, რომლის შესრულების შემდეგ იწყება ღმისთევითი ლოცვა და სრულდება ცისკრის ნაწილი. მეორე დღეს, დილით, სრულდება ცისკარი; წირვას შეასრულებს თვით ქათალიკოსი თორმეტი ეპისკოპოსის თანამწირველობით. შემდეგ სიტყვებისა «რამეთუ სახიერ და კაცთმოყვარე ხარ», პატრიარქი დაიჩოქებს საკურთხეველის წინ და თორმეტი ეპისკოპოსი გარს შემოერტყმიან ქათალიკოსს და იწყებენ მირონცხების წესს. როცა ეპისკოპოსები არისტაქესი, გეორქი, ნერსესი და მკრტიჩი გაათავებენ ლოცვას და ფსალმუნებს, ყველა 12 ეპისკოპოსი, დასდებენ რა ხელს პატრიარქის თავზე, ერთად წარმოსთქმენ ლოცვას «დადგებთ ხელსა»; შემდეგ ეპისკოპოსები გრიქორი, სერობე, თათეოსი, მესროპი, ოვაქიმე და იერემია წაიკითხვენ საწინასწარმეტყველოებიდამ და სამოციქულოდამ დაწერებულ თავებს; ეპისკოპოსი სუქიასი წაიკითხავს სახარებას, წარმოსთქვამს სიმფოლო სარწმუნოებას და გამოასვენებს წმიდა საუფლო ძღვენს; ეპისკოპოსები გრიგორი და მესროპი წარმოსთქმენ ლოცვას «დიდო ღმერთო», ეპისკოპოსი მკრტიჩი ლოცვის წაკითხვის შემდეგ აიყვანს მტრედს წმიდა მირონით, მიავა მუხლ მოდრეკილ პატრიარქთან, სამჯერ დაასხამს მირონს პატრიარქს კეფაზედ და გალობენ სამოციქულოდამ «მტრედო, გზის მაჩვენებელო», 12 ეპისკოპოსი თითებით გადასახვენ ჯვარს პატრიარქის კეფაზე და გალობენ «რამეთუ კურთხეულ იყვეს მირონცხებული მამა მაკარი, ქათალიკოსი»,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპისკოპოსი მერტიჩი პატრიარქს თავზე დააფარებს სტიქარს, სარტყელს შემოარტყამს მის უწმიდესობას და მიართმევს კვერთხს და ამ დროს გალობენ ფსალმუნებს; ეპისკოპოსები არისტაქესი, გეორგი და გრიგორი კითხულობენ ფსალმუნებს და სამოციქულოს, ეპისკოპოსი მესროპი—სახარებას და იწყება მილოცვა, ამავე დროს ეპისკოპოსები ემთხვევიან პატრიარქს კვერთხზე. პატრიარქი დაასრულებს წირვას და პროცესია ფსალმუნების გალობით და ლიტანიით გაემგზავრება პატრიარქის სასახლისაკენ. პატრიარქი დაბრძანდება ტახტზე, და ყველა იქ დამსწრენი მიიღებენ მისი უწმიდესობისაგან ლოცვა-კურთხევას.

ეს ცერემონიალი აღსრულდა 1885 წელსა ქათალიკოს მაკარიზედ და ასევე აღსრულდება ეხლაც.

## ს ა მ შ ო ბ ლ ო.

—

ჩემო სამშობლოო მხარეო,
აჰყვავდი, გაიხარეო,
ქარო დაჰქროლე ღრუბელთა,
ქვეყნად გაშუქდეს მთვარეო.

სამშობლო არის ტაძარი, ხალხისა თავ-შესაფარი,
სამშობლო ერის დედაა, აღმზრდელი, მისი საფარი,
ის არის ფართო ოჯახი საერთო, როგორც საყდარი,
მის შვილთა სისხლით მორწყული, მტერთა წინ შეუპოვარი.

—

სამშობლოს მიწის ნაპრებში ხორც-სისხლი შერეულია
მამა-პაპათა, იმათის ოფლითა სხურებულია,
ძველთაგან შეურყეველად ჩვენზედ გადმოცემულია,
თუმც სოფლის უკულმართობით გვემილი-წამებულია.

—

სამშობლომ თავზედ დაიდგა გვირგვინი მოწამეობის,
სამშობლო ისტორიაა წარსულ საუკუნოების,
სამშობლო თვითონ ბუდეა ვაჟ-კაცთ მიმცემი მხნეობის,
სამშობლო არის ჭურჭელი სიწმიდისა და ზნეობის.

—

ქართველთ ძვლით მოკენჭილია სამშობლოს მინდორ-ველები,
აქვე შობილან, აღზრდილან ჩვენი მამა და ძველები,
აქ უბრძოლნიათ გმირულად, დღესაც სჩანს მათი კვალები,
აქვე მარხიან მეფენი მტერთაგან განამწვალები.

—

სამშობლომ გშობა, გაგზარდა, აგიმოძრავა ენაო,
აქ იგრძენ დედის ალერსი, მშობელს უწოდე ნენაო,
დედამ რძესთანა გაწოვა წმინდა გრძნობები შენაო,
აქ დასტკბი სულიერადა და იწყე ალმა-ფრენაო.

—

ბუნება დაგასურათებს, შეგამკობს ტანად-თვალადა,
აქ სიყვარული პირველად გულს აღგენთება ალადა,
აქა გაიცნობ შემოქმედს და იშვებ სულიერადა,
აქვე შეიტყობ წარსულის დიდებას ერთობ ვრცელადა.

—

მაშ შენ, ყმაწვილო, გიყვარდეს შენი სამშობლო მხარეო,
მისი სიავით დანაღვლდი, სიკეთით გაიხარეო,
ბევრი ტანჯულა საბრალო, დღენი უნახავს მწარეო,
ბრწყინვალე ბედსა უქადის აწ მომავლისა მთვარეო.

—

სამშობლოსადმი ტრფიალი დიდი გრძნობაა ღვთიური,
სამშობლო არის საუნჯე, მსაზრდოებელი დღიური,
სამშობლოსაგან მადლობა იგივ მადლია ციური,
სამშობლო არის შვენება, დიდება ამ ქვეყნიური.

—

ვისაც სამშობლო არ უყვარს, არ ეტრფის, ეთაყვანება,
ვითა სიზმარი ამ ქვეყნად მსწრაფლ ჰქრება მისი ხსენება,
ვინც მხნეობს, იმედს არ ჰკარგავს, გულს სალმრთო ალი ეგზნება,
ვინც მამულს თავი უმსხვერპლა, მან აღასრულა ღვთის მცნება.

გრიგორი გ—ნავა.

437/290

## ახალი ამბები და შენიშვნები.

ამა წლის ჩვენი გამოცემის მე-2 №-ში ჩვენ დაბეჭდეთ ერთი წერილი «შესანიშნავი მისიონერი თეოფანე» (სვანთაგანი). ამ წერილში ერცლად იყო აღწერილი მ. თეოფანეს მოღვაწეობა სვანეთში მონასტრის დაარსების შესახებ. ამავე სტატიაში აღწერილი იყო, თუ რა ღარიბ მდგომარეობაში არიან სვანეთის ეკლესიები საზოგადოდ და კერძოდ მ. თეოფანესაგან აღშენებული მონასტერი. ამიტომ ჩვენ ეპოხოვდით ყველა მართლ-მადიდებელთ, შეძლებისა და გვარად, შეშწეობა აღმოეჩინათ სვანეთის ეკლესიებისათვის. ჩვენი ხმა ბევრისათვის დარჩა «ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა». მაგრამ ჩვენს ხმას მიაქცია ყურადღება იმან, ვისზედაც დამოკიდებულია სასულიერო წოდების ბედ-იღბლის თვალყურის დევნა. ამ შესანიშნავ დიდებულ პირს არა ერთ გზის მიუქცევია ყურადღება ჩვენი გამოცემის ზოგიერთი სტატიებ-სათვის და მოსალოდნელი განკარგულებაც მოუხდენია. ეხლაც ფრიად სასიხარულოდ მიგვიჩნია, რომ ამ დიდებულ პირს ჩვენი ზემოჩსენებული სტატიაც უყურადღებოდ არ დაუტოვებია.

ჩვენ ნამდვილად შეეიტყეთ, რომ გურია-სამეგრელოსა ეპარქიის კანცელარია აცნობებს სვანეთის ეპიტროპინონ მზრდელ ბლაღოჩინს დეკანოზს მ. იოსებ ეაცაძეს შემდეგ სასიხარულო ამბავს:

«მისმა მაღალ აღმატებულებამ უ. უწ. სინოდის ობერ-პროკურორმა, ამა წლის გაზ. «მწყემსი»-ს მე-2-ე №-ში დაბეჭდილი წერილისა გამო: «სამგალითო ბერი თეოფანე» (სვანთაგანი), მიანდო მოსკოვის სინოდალური კანტორის პროკურორს ტაინ. სოვეტ-შიკინს დამზადებინა მოსკოვში სვანეთის ხუთი ღარიბი ეკლესიისათვის ყოველივე საჭირო სამკაული და გაგზავნა მისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის საქარ. ეპისკოპოსის ელადიმირისათვის. ყველა ეს ნივთები ოთხი ყუთით მიღებულია ფოთში და დღეს იგზავნება სვანეთში».

## რედაქციის პასუხი.

ვ. ჰ. კ—